*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2021 წელი

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევისთვის და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევს და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხს მიენიჭოს ფიჭვების ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე                    გიორგი ტყემალაძე


X=475252 Y=4616677
X=475229 Y=4616613
ფიჭვების ქ.
X=475265 Y=4616601
X=475174 Y=4616543
1:1,000

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისისს თავმჯდომარეს

ბატონ მიხეილ ამაშუკელს

წყნეთში ალ. ჭავჭავაძის პირველ შესახვევში

მცხოვრები მოქალაქეების

(საკონტაქტო პირი.

ტელ.: [redacted]

## განცხადება

გაცნობებთ, რომ წყნეთში არსენას ქუჩასთან მდებარე ალ. ჭავჭავაძის პირველი შესახვევი, რომლის მთავარი შესასვლელი მდებარეობს ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან და უერთდება არსენას ქუჩას, თავისი პარამეტრებით წარმოადგენს ქუჩას.

გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების და მისი სახელდების შესახებ.

ხელმოწერები:

საკად: 01.20.01.016.122 -არსენა მუსელიანი P/N [redacted] ალ. ჭავჭავაძის პირველი შესახვევი

საკად: 01.20.01.015.022- ნინო [redacted] მნათობიშვილი [redacted] ჭავჭავაძის პირველი შესახვევი # 1

საკად: 01.20.01.016.041- ლუიზა მორჩილაძე P/N: 01024024335 ალ. ჭავჭავაძის პირველი შესახვევი # 4

საკად: 01.20.01.016.104 -ლუიზა მორჩილაძე P/N: 01024024335 ალ. ჭავჭავაძის პირველი შესახვევი #4ა

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY


წერილის ნომერი: **03-032107076**
თარიღი: **11/03/2021**
პინი: **0343**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე არჩილ მორჩილაძის 2021 წლის 9 მარტის საქმე #19/032106836-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს დაბა წყნეთში, ალ. ჭავჭავაძის I და II შესახვევების დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბებას და სახელდებას (ს.კ.01.20.01.016.104) .
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210773531**
თარიღი: **18/03/2021**
პინი: **1100**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს**

**მის: თავისუფლების მოედანი #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.03.2021 წლის #03-032107076 (11.03.2021წ. #14-01210703080-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი